

ვინ არის სუსტი რგოლი

გაზეთი "კვირის პალიტრა", 28 ნოემბერი - 4 დეკემბერი, 2016

- მიუხედავად იმისა, რომ მინისტრთა განახლებულ შემადგენლობაში ე.წ. ძველი სახეებიც არიან, ვფიქრობ, ახლადარჩეული მთავრობის ნეგატიურ და პოზიტიურ ქმედებებზე ასი დღის შემდეგ უნდა ვისაუბროთ. მანამდე კი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მინისტრთა კაბინეტში ყველაზე სუსტი რგოლი განათლების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა და საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძეა. მეტიც, პროტესტსაც არ მოვერიდები იმის გამო, რომ ისინი მთავრობის განახლებულ შემადგენლობაში მოხვდნენ. არაფერს გვეუბნება ინფრასტრუქტურის ახალი მინისტრის ვინაობა, ისევე როგორც ის საზოგადოებისათვის უცნობი ადამიანები, რომლებიც კომიტეტების თავმჯდომარეებად შეირჩნენ. არავინ იცის, რა კომპეტენციის ადამიანები არიან ისინი. იმედი მაქვს, მათ გააზრებული აქვთ ის გამოწვევები, რომლებიც დღეს ქვეყნის წინაშე საკმაოდ მწვავედ დგას - ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცება, დემოკრატიული პრინციპების განვითარება, ევროკავშირთან დაახლოება, მისი ეკონომიკური მოდელის რეალიზაცია, რუსეთთან ურთიერთობების მეტნაკლებად დარეგულირება ისე, რომ საქართველოს სუვერენიტეტი ერთი მტკაველიტაც არ დაზიანდეს.

- და მაინც როგორია თქვენი მოლოდინი - მთავრობის ახალ შემადგენლობას პრემიერის ხელმძღვანელობით ამ გამოწვევებთან გამკლავების უნარი რამდენად აქვს?

- ჩემი აზრით, პრემიერს განთლებისა და მეცნიერების მინისტრის (რომელიც ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნისას ასრულებდა ნაცების დავალებას უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან ღირსეული პროფესორების გაყრაში!) შეცვლა უახლოეს მომავალში მოუწევს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მისი განცხადებები სერიოზულ შთაბეჭდილებას ნამდვილად არ ტოვებს. ვფიქრობ, ცვლილება აუცილებელი იქნება საგარეო საქმეთა მინისტრის შემთხვევაშიც. რაც შეეხება ეკონომიკურ ფლანგს, აუცილებელია საპარტნიორო ფონდის მეტად გააქტიურება - ის სასტუმროებისა და საღორეების მშენებლობით არ უნდა იწონებდეს თავს, მეტი მუშაობაა საჭირო თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების, ინოვაციური ეკონომიკის შექმნის მიმართულებით, რაც "ეკონომიკური და სოციალური განვითარების სტრატეგიაში - 2020" წერია, უბრალოდ, ის მთავრობამ მიივიწყა და თაროზე შემოდო. ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა - ლარია, რისთვისაც ეროვნულ ბანკსა და მთავრობას შორის მეტი კომუნიკაციაა აუცილებელი. კარგად ვიცი, რომ სავალუტი ბაზარზე პრობლემაა, რაც პირველ რიგში, ეროვნული ბანკის პასუხისმგებლობაა. ლარის შემდგომი გაუფასურება გარდაუვალია - თურქეთი დიქტატურის გზას ადგას, ისევე როგორც აზერბაიჯანი, რაც ბუნებრივია, მათ ვალუტებზე შესაბამისად აისახება. ამ შემთხვევაში,

შესაბამისი მექანიზმი უნდა აამოქმედოს ეროვნულმა ბანკმა, რომ ლარის გაუფასურებას ნახტომისებური ეფექტი არ ჰქონდეს; მთავრობამ კი უნდა შეიმუშავოს ღონისძიებები სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობის დასაცავად. უნდა გვახსოვდეს, რომ "წყალდიდობას" ებრძვიან არა ხმლით, არამედ ჯებირებით". კიდევ ერთი საკითხი, რაც "ქართული ოცნების" ავადმყოფობად იქცა და მას პირობითად "კირვალის სინდრომს" ვუწოდებ. კარგად გვახსოვს, როდესაც " ქართული ოცნება" ხელუსუფლებაში ახალი მოსული იყო, სოფლის მეურნეობის მინისტრი თანამდებობიდან იმის გამო გადადგა, რომ მისი ყველა წამყვანი სპეციალისტი დააკავეს და მეცნიერებსაც კი დაერივნენ. ეს უდიდესი შეცდომა გახლდათ, რადგან ამ გადაწყვეტილებამ მთლიან მინისტრთა კაბინეტში ფულის ხარჯვის შიში გაამძაფრა. მაგალითად, განათლების სამინისტრო ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ფულს ვერ ითვისებდა, არადა, უამრავი სკოლა და უნივერსიტეტია გასარემონტებელი. უბრალოდ, სამინისტროს ეშინოდა და "ათასჯერ (და არა ათჯერ) გაზომე, ერთხელ გაჭერის" პრინციპით მოქმედებდა თითოეული გადაწყვეტილების მიღებისას. ახლა ხელისუფლებას არ აქვს იმდენი დრო - სწრაფი მოქმედებები და მეტი პროფესიონალიზმია აუცილებელი!

რუსუდან შელია